

პოლიტიკის კვლევის
დოკუმენტი:

COVID-19-ის გავლენა ქალებზე

9 აპრილი 2020

მომზადებულია გაერთიანებული
ერების ორგანიზაციის მიერ

სარჩევნი

შესავალი	1
I. ეკონომიკური ზეგავლენა	3
II. გავლენა ჯანმრთელობაზე	7
III. აუნაზღაურებელი შრომა და ზრუნვის ტვირთი	9
IV. გენდერული ძალადობა	13
V. პანდემიის გავლენა ჰუმანიტარული პრობლემების მქონე ადგილებსა და ადამიანის უფლებებზე	15
დასკვნა	16

შესავალი

2020 წელი, როგორც პეკინის სამოქმედო პლატფორმის ოცდამეოთხე წლისთავი, გენდერული თანასწორობის მხრივ გარდამტეხი უნდა ყოფილიყო. ამის ნაცვლად კი, COVID-19 პანდემიის გამო, გასული ათწლეულების განმავლობაში მიღწეული შეზღუდული მიღწევებიც კი, შესაძლოა, რისკის ქვეშ დადგეს. პანდემია აღრმავებს უკვე არსებულ უთანასწორობასა და დაუცველობას სოციალურ, პოლიტიკურ და ეკონომიკურ კონტექსტებში, რასაც, თავის მხრივ, გავლენა აქვს პანდემიის შედეგებზე.

COVID-19-ის გავლენა ქალებსა და გოგონებზე უფრო მწვავეა ყველა სფეროში, იქნება ეს ჯანდაცვა, ეკონომიკა, უსაფრთხოება თუ სოციალური დაცვა, მხოლოდ და მხოლოდ მათი სქესის გამო:

- > **ეკონომიკური** გავლენა განსაკუთრებით მძიმეა იმ ქალებსა და გოგონებზე, რომელთაც ზოგადად აქვთ ნაკლები შემოსავალი, ნაკლები დანაზოგი და არასტაბილური სამსახური, ან იმყოფებიან სიღარიბის ზღვართან ახლოს.
- > მიუხედავად იმისა, რომ წინასწარი ინფორმაციით, COVID-19-ის შედეგად უფრო მეტი კაცი იღუპება ვიდრე ქალი, ქალთა **ჯანმრთელობაზე** უარყოფითად მოქმედებს რესურსებისა და პრიორიტეტების გადანაწილება, მათ შორის, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის მომსახურებების მიმართულებით.
- > გაიზარდა **აუნაზღაურებელი შრომის** ოდენობა, რაც უკავშირდება ბავშვების სახლში ყოფნას სკოლების დახურვის გამო, ხანდაზ-

მული პირების მოვლის საჭიროებებსა და გადატვირთულ სამედიცინო სერვისებს.

- > COVID-19-ის პანდემიით გამოწვეული გადაადგილების შეზღუდვებისა და სოციალური იზოლაციის, ეკოლოგიური და სოციალური სტრესის შედეგად, საგრძნობლად იზრდება **გენდერული ნიშნით ძალადობა**. ბევრი ქალი იძულებულია, იცხოვროს მოძალადესთან ერთად მაშინ, როდესაც დაზარალებულთა დახმარების სერვისები შეფერხებული ან მიუწვდომელია.
- > ეს ყველაფერი კიდევ უფრო მძიმდება შესუსტებული სოციალური დაცვის, შეზღუდული ინსტიტუციური მექანიზმებისა და მომსახურების პირობებში.

წინამდებარე დოკუმენტში განხილულია თითოეული ზემოხსენებული საკითხი. ასევე ის, თუ როგორ შეიცვალა ქალთა და გოგონების ცხოვრება COVID-19-ის პირობებში, და ის პრიორიტეტული ზომები, რომლებიც თან უნდა ახლდეს როგორც სწრაფი რეაგირების, ისე გრძელვადიან ღონისძიებებს.

COVID-19 გამოწვევაა არა მხოლოდ გლობალური ჯანდაცვის სისტემებისათვის, არამედ ზოგადად კაცობრიობისთვის. კრიზისიდან გამოსვლის შემდეგ სამყარო უფრო თანასწორი და მდგრადი უნდა გახდეს მომავალი კრიზისებისადმი. ბევრ ქვეყანაში მთავრობებმა დაამტკიცეს მხარდაჭერის ფისკალური პაკეტები და გადაუდებელი რეაგირების ზომები მიიღეს COVID-19-ის ზემოქმედების შესამცირებლად.¹ მნიშვნელოვანია, რომ ქალები და გოგონები - მათი ინკლუზია, წარმო-

1 გაეროს ეკონომიკისა და სოციალურ საქმეთა დეპარტამენტი, პოლიტიკის კვლევის დოკუმენტი №58, „COVID-19: სოციალური კრიზისის მოგვარება ფისკალური სტიმულირების გეგმების საშუალებით“, <https://www.un.org/development/desa/dpad/publication/un-desa-policy-brief-58-covid-19-addressing-the-social-crisis-through-fiscal-stimulus-plans/>

მადგენლობა, უფლებები, სოციალური და ეკონომიკური შედეგები, თანასწორობა და დაცვა - ყველა სახელმწიფოსათვის პრიორიტეტი იყოს. ეს საჭიროა არა მხოლოდ მრავალწლიანი უთანასწორობის აღმოსაფხვრელად, არამედ უფრო სამართლიანი და მდგრადი სამყაროს შესაქმნელადაც. ეს მნიშვნელოვანია როგორც ქალებისა და გოგოებისთვის, ისე ბიჭებისა და კაცებისთვისაც. ქალები ყველაზე მეტად დაზარალებიან პანდემიით, მაგრამ აღდგენით პროცესებში ისინი მნიშვნელოვან როლს ასრულებენ და ყველა პოლიტიკა, რომელიც ამას აღიარებს, უფრო შედეგის მომტანი იქნება.

ზემოხსენებულის მისაღწევად, წინამდებარე დოკუმენტი გამოყოფს სამ ძირითად პრიორიტეტს:

1) **ქალთა თანაბარი ჩართულობის უზრუნველყოფა საპასუხო ზომების დაგეგმვისა და გადამწყვეტილებების მიღების პროცესებში.** ფაქტები ყველა სფეროში, მათ შორის, ეკონომიკური და საგანგებო ზომების დაგეგმვის მიმართულებით, ცალსახად მიუთითებს, რომ ის პოლიტიკები, სადაც არ არის უზრუნველყოფილი ქალთა ჩართულობა კონსულტაციებსა თუ გადამწყვეტილებების მიღების პროცესებში, ნაკლებად ეფექტიანია, და შესაძლოა, საზიანოც იყოს. აუცილებელია არა მხოლოდ ქალების, არამედ ქალთა ორგანიზაციების მხარდაჭერა და ჩართულობა, რომლებიც ხშირად საზოგადოებებში არსებულ პრობლემებზე აქტიურად საუბრობენ.

2) **ტრანსფორმაციული ცვლილების განხორციელება თანასწორობისათვის, ზრუნვის ტვირთის (ანაზღაურებელი თუ ანაზღაურებადი) დარეგულირების გზით:** ფორმალურ მზრუნველობით სფეროში დასაქმებული ადამიანები, მასწავლებლებიდან დაწყებული, ექთნებით დამთავრებული, გაცილებით ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ, ვიდრე სხვა სექტორებში დასაქმებულები. სახლში კი ქალები უხილავ და არაანაზღაურებად სამუშაოს ასრულებენ. ორივე კატეგორიას ფუნდამენტური მნიშვნელობა აქვს როგორც ყოველდღიურ ცხოვრებაში, ისე ეკონომიკაში, მაგრამ ისინი დიდწილად ეფუძნება გენდერულ ნორმებსა და უთანასწორობას.

3) **ქალებისა და გოგოების საჭიროებების გათვალისწინება COVID-19-ის სოციალურ-ეკონომიკური გავლენების შემამსუბუქებელი ზომების დაგეგმვისას.** ფისკალური პაკეტებისა და სოციალური დახმარების პროგრამების დაგეგმვისას, მნიშვნელოვანი იქნება გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკის გამოყენება, რაც ხელს შეუწყობს უკეთესი თანასწორობის, შესაძლებლობებისა და სოციალური დაცვის სისტემების შექმნას.

ეს სამი მნიშვნელოვანი პრიორიტეტი პასუხობს გენერალური მდივნის ადამიანის უფლებებთან დაკავშირებულ მოწოდებასაც, რომელიც მან ცოტა ხნის წინ გაავრცელა და ისაუბრა ისეთი ზომების მნიშვნელობაზე, რომლის განხორციელებაც დიდ გავლენას მოახდენს ქალებისა და გოგოების უფლებებზე. ეს ზომები პანდემიის პირობებში კიდევ უფრო სასიცოცხლო მნიშვნელობის გახდა.

I. ეკონომიკური ზეგავლენა

COVID-19 გლობალურ ეკონომიკაზე ღრმა გავლენას ახდენს. პოლიტიკის კვლევის დოკუმენტში, „საერთო პასუხისმგებლობა, გლობალური სოლიდარობა“, დეტალურად არის აღწერილი, რომ ბაზრები და მომარაგების ქსელები უკვე შეფერხებულად ფუნქციონირებს, ბიზნესები დახურული ან შეზღუდულია, მილიონობით ადამიანი უკვე დაკარგა ან მომავალში დაკარგავს სამსახურსა და საარსებო წყაროს.² შრომის საერთაშორისო ორგანიზაციის შეფასებით, სრულმა ან ნაწილობრივმა იზოლაციამ გავლენა მოახდინა თითქმის 2.7 მილიარდ დასაქმებულზე, რაც მსოფლიოს დასაქმებულთა დაახლოებით 81%-ია. საერთაშორისო სავალუტო ფონდი გლობალური წარმოების მნიშვნელოვან შემცირებას ვარაუდობს 2020 წელს.³ COVID-19-ს მსოფლიო ეკონომიკა გლობალური რეცესიისკენ მიჰყავს, რომელიც მნიშვნელოვნად განსხვავდება წარსული რეცესიებისგან.⁴

COVID-19-ის შედეგების შესახებ არსებული ცნობები იმაზე მეტყველებს, რომ პანდემიას კაცებთან შედარებით არაპროპორციული და განსხვავებული გავლენა ექნება ქალთა ეკონომიკურ ცხოვრებაზე. ქალები, მთელ მსოფლიოში, უფრო ნაკლებ ანაზღაურებას იღებენ, ნაკლებს ზოგავენ, ნაკლებად გააჩნიათ სტაბილური სამუშაო ადგილები და უფრო მეტად არიან დასაქმებულები არაფორმალურ სექტორში. მათ ასევე ნაკლები წვდომა აქვთ სოციალური დაცვის სისტემებზე და შეადგენენ მართხელა მშობლების უმრავლესობას.

ქალების მიერ მზრუნველობითი ფუნქციის შეთავსება სახლში ასევე არაპროპორციულად მოქმედებს სამსახურში მათ შემცირებასა და დროებით დათხოვნაზე. ეს ყველაფერი კი საფრთხეს უქმნის ქალთა შრომითი უფლებების კუთხით მიღწეულ მყიფე შედეგებს. აღნიშნული ზღუდავს ქალთა შესაძლებლობას, დაეხმარონ საკუთარ თავს და ოჯახებს, რაც განსაკუთრებული პრობლემაა იმ ოჯახებში, რომლებსაც ქალები უძღვებიან. ბევრ ქვეყანაში სამსახურიდან გათავისუფლების პირველი ეტაპი განსაკუთრებით მწვავე იყო მომსახურების სექტორში, მათ შორის, საცალო ვაჭრობის, სასტუმროებისა და ტურიზმის სფეროებში, სადაც ქალები მრავლად არიან წარმოდგენილნი.

ამ მხრივ მდგომარეობა უფრო მძიმეა განვითარებად ეკონომიკებში, სადაც ქალთა უმეტესობა - 70% - არაფორმალურ ეკონომიკაშია დასაქმებული და შესაბამისად, ნაკლებად არის დაცული სამსახურიდან გათავისუფლების, ანაზღაურებადი ბიულეტენით სარგებლობის ან სოციალური უსაფრთხოების თვალსაზრისით. საარსებო წყაროს შოვნის მიზნით, ეს ადამიანები ხშირად დამოკიდებული არიან საზოგადოებრივ სივრცესა და სოციალურ ინტერაქციებზე, რაც ამჟამად პანდემიის გამო შეზღუდულია.⁵

ებოლას ვირუსმა აჩვენა, რომ კარანტინმა, შესაძლოა, მნიშვნელოვნად შეამციროს ქალთა

2 „საერთო პასუხისმგებლობა, გლობალური სოლიდარობა: რეაგირება COVID-19-ის სოციალურ-ეკონომიკურ შედეგებზე“, 2020 წლის მარტი, https://www.un.org/Sites/Un2.Un.Org/Files/Sg_Report_Socio-Economic_Impact_Of_Covid19.Pdf

3 საერთაშორისო სავალუტო ფონდი, <https://blogs.imf.org/2020/04/06/an-early-view-of-the-economic-impact-of-the-pandemic-in-5-charts/> [საერთაშორისო სავალუტო ფონდი გლობალური ეკონომიკურ პროგნოზს გამოსცემს 14 აპრილს].

4 <https://www.forbes.com/sites/miltonezrati/2020/03/18/heading-off-the-covid-19-recession/#651eba9a28e6>

5 გლობალურად, არაფორმალური სექტორი დასაქმების წყაროა უფრო მეტი მამაკაცისათვის (63.0 პროცენტი), ვიდრე ქალისათვის (58.1 პროცენტი), თუმცა დაბალი და საშუალო შემოსავლების მქონე ქვეყნებში, არაფორმალურ სექტორში უფრო მეტი ქალია დასაქმებული, ვიდრე მამაკაცი. მაგალითად, აფრიკაში, ქალების 90% დასაქმებულია არაფორმალურ ეკონომიკაში, მაშინ როცა ეს ციფრი მამაკაცებში 83%-ია. (https://www.ilo.org/wcmsp5/groups/public/---dgreports/---dcomm/docu-ments/publication/wcms_626831.pdf, pages 20-21)

ეკონომიკური საქმიანობა და მათ მიერ საარსებო შემოსავლის მიღება, რაც ზრდის სიღარიბის დონეს და ამძაფრებს სათანადო კვების პრობლემას.⁶ ლიბერიაში, სადაც ბაზრის მოვაჭრეების დაახლოებით 85% ქალია, ებოლას პრევენციულმა ღონისძიებებმა (რომელიც მოიცავდა მგზავრობაზე დაწესებულ შეზღუდვებს) სერიოზულად იმოქმედა ქალთა საარსებო წყაროსა და ეკონომიკურ უსაფრთხოებაზე.⁷ უფრო მეტიც, მიუხედავად იმისა, რომ კაცების ეკონომიკური საქმიანობა კრიზისამდე არსებულ დონეს პრევენციული ღონისძიებების შემცირებისთანავე დაუბრუნდა, გავლენა ქალთა ეკონომიკურ უსაფრთხოებასა და საარსებო შემოსავალზე, გაცილებით დიდხანს გაგრძელდა.

წარსულ გამოცდილებასა და ახლანდელ მონაცემებზე დაყრდნობით, შესაძლებელია ვივარაუდოთ, რომ COVID-19-ის გლობალური რეცესიის გავლენა ქალთა შემოსავალსა და დასაქმების შესაძლებლობებზე, გაცილებით უფრო ხანგრძლივი იქნება. განსაკუთრებული დარტყმის ქვეშ კი ის ქალები აღმოჩნდებიან, რომლებიც უკვე ცხოვრობენ სიღარიბეში. ისინი კი, ვინც ბოლოდროინდელი ეკონომიკური ზრდის შედეგად შეძლეს უკიდურესი სიღარიბისთვის თავი დაეღწიათ, სავარაუდოდ, კვლავ ყველაზე დაუცველ მდგომარეობაში აღმოჩნდებიან.

ეკონომიკის აღსადგენად მისაღები ზომები

ყველაფერი, რასაც COVID-19-ის კრიზისის დროს და მის შემდეგ ვაკეთებთ, მიზნად უნდა ისახავდეს უფრო თანაბარი, ინკლუზიური და მდგრადი ეკონომიკებისა და საზოგადოებების შექმნას. ეს ალბათ ყველაზე მკაფიო გაკვეთილია, რომელიც შეიძლება ვისწავლოთ ამ პანდემიისგან. ეს ნიშნავს გენდერულად მგრძობიარე ეკონომიკურ და სოციალურ პოლიტიკას და ქალთა ეკონომიკური ცხოვრების პრიორიტეტულობას ანტიკრიზისულ გეგმებში.

31 მარტის მდგომარეობით, 105-მა ქვეყანამ მიიღო ფისკალური რეაგირების პაკეტი, რომელთა ღირებულებაც ჯამში \$ 4,8 ტრილიონი აშშ დო-

ლარია.⁸ 3 აპრილის მდგომარეობით, 106-მა ქვეყანამ შემოიღო სოციალური დაცვისა და დასაქმების პროგრამები COVID-19-ის საპასუხოდ ან მოახდინა მათი ადაპტირება.⁹ ამ პაკეტებიდან, ყველაზე ფართოდ გამოყენებადია სოციალური დახმარება (გადასახადებისგან თავისუფალი), შემდეგ სოციალური დაზღვევა და ინტერვენციები მიმწოდებელთა შრომით ბაზარზე. მნიშვნელოვანია, რომ ეს ინტერვენციები მოიცავდეს სქესის ნიშნით სეგრეგირებულ მონაცემებს, ითვალისწინებდეს გენდერულად მგრძობიარე პოლიტიკას და მათი კონკრეტული სამიზნე ქალები იყვნენ. მაგალითად, ნაღდი ფულით დახმარების პროგრამები სოციალური დახმარების ყველაზე ხშირად გამოყენებადი ინტერვენციაა. იმ სექტორებს, სადაც ქალები მშრომელთა დიდ ნაწილს წარმოადგენენ და სადაც მომარაგების ქსელები შეფერხდა, სათანადო წვდომა უნდა ჰქონდეს კრედიტებზე, სესხებსა და გრანტებზე, რათა მათ შეძლონ ქალთა სამუშაო ძალის შენარჩუნება. ანალოგიურად, დახმარების განაწილების პროცედურებში გათვალისწინებული უნდა იყოს ქალებისა და გოგოების მზრუნველობითი მოვალეობები და მათი შესაძლო არაფორმალური სტატუსი სამსახურში, შეღავათებზე მათი წვდომის უზრუნველსაყოფად.

ეკონომიკური პროგრამები - იქნება ეს დაუყოვნებლივი რეაგირების თუ გრძელვადიანი აღდგენის პროგრამები - უნდა შემუშავდეს და განხორციელდეს გენდერული ასპექტების გათვალისწინებით, რაც მოიცავს იმ ბარიერების აღმოფხვრას, რომლებიც ხელს უშლის ქალთა სრულფასოვან მონაწილეობას ეკონომიკურ საქმიანობაში, თანაბარ ანაზღაურებასა და თანაბარ შესაძლებლობებს, სოციალური დაცვის სქემებს, რომლებიც არსებული მიკერძოებების ერთ-ერთი ფაქტორია, ქალ მენარმეთა დაფინანსებას და ქალთა თვითდასაქმების ხელშეწყობ მქა-ნიზმებს. ამგვარი ეკონომიკური ღონისძიებები უნდა განხორციელდეს როგორც საჯარო, ისე კერძო სექტორში.

გარდა ამისა, გენდერული უთანასწორობის შემცირება განათლების სფეროში და ფორმალურ შრომის ბაზარზე ქალების მონაწილეობის

6 სოციალური დაცვის, გენდერისა და ბავშვთა საქმეთა სამინისტრო, გაეროს ქალთა ორგანიზაცია, ოქსფამი, სიერა ლეონეს სტატისტიკა (2014). „ებოლას ვირუსის გენდერული განზომილებების მულტისექტორული გავლენის შეფასება“.

7 <https://www.unwomen.org/en/news/stories/2014/11/in-liberia-mobile-banking-to-help-ebola-affected-women-traders>

8 გაეროს ქალთა ორგანიზაციის გათვლები „COVID-19-ზე სახელმწიფოთა რეაგირების ოქსფორდის შეფასებების“ საფუძველზე: <https://www.bsg.ox.ac.uk/research/research-projects/oxford-covid-19-government-response-tracker>

9 http://www.ugogentilini.net/wp-content/uploads/2020/04/Country-social-protection-COVID-responses_April3-1.pdf

გაზრდა, ასევე, მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს მრავალ ქვეყანაში არსებული მდგომარეობის შემობრუნებას იმგვარად, რომ მათ უფრო თანაბარ, ძლიერ და მდგრად ეკონომიკურ ზრდას მიაღწიონ.

და ბოლოს, სოციალური დაცვის თანამედროვე სისტემები საკმარისად ფართო არ არის. ბევრ ქალს, არაფორმალურ სექტორში დასაქმების გამო, არ აქვს წვდომა სოციალურ დაცვაზე. სამხრეთ აზიაში, არასასოფლო-სამეურნეო სექტორში დასაქმებულ ქალთა 80%-ზე მეტი არაფორმალურად არის დასაქმებული; სუბსაპარულ აფრიკაში ეს მაჩვენებელი 74 პროცენტია; ხოლო ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის ქვეყნებში - 54%. წვდომა ისეთ შეღავათებზე, როგორცაა ჯანმრთელობის დაზღვევა, ანაზღაურებადი ავადმყოფობის ფურცელი და დეკრეტული შვებულება, პენსიები და უმუშევრობის შეღავათები, უზრუნველყოფილი უნდა იყოს არაფორმალურად დასაქმებული ყველა ქალისათვის ნებისმიერ სფეროში.

რეკომენდებულია, რომ სახელმწიფოთა ანტი-კრიზისული გეგმები ითვალისწინებდეს შემდეგს:

- ქალებისთვის ფულადი დახმარების გადაცემა - თუ ქვეყანაში უკვე არსებობს პროგრამა, რომლითაც შესაძლებელია ქალებისთვის ფულის გადაცემა პირადად, მაგალითად, ფულის გადარიცხვის პროგრამა მობაილ ბანკის გამოყენებით, მიზანშეწონილია ასეთი პროგრამების გაფართოება.
- ისეთი ზომების გატარება, რომელიც მოითხოვს დაბალ ხარჯებს (მაგალითად, დროებითი შეღავათები ელექტროენერჯის გადასახადზე დაბალი შემოსავლის მქონე მომხმარებლებისთვის).
- სოციალური დაცვის უკვე არსებული პროგრამების გამოყენება და სამიზნე ჯგუფებისთვის მეთოდოლოგიის ადაპტირება COVID-19-ით დაზარალებული ჯგუფებისთვის შემოსავლის უზრუნველსაყოფად. განსაკუთრებით იმ სფეროებში, სადაც ქალები მრავლად არიან წარმოდგენილნი (ტურიზმი, განათლება, საცალო ვაჭრობა, რესტორნები, სასტუმროები და ა.შ.).
- ბაზისური სოციალური დაცვის გავრცელება არაფორმალურ სექტორში დასაქმებულ პირებზე.
- ქალების საკუთრებაში არსებულ ბიზნესებზე გადასახადების შემცირება.

- ქალთა ქსელებისა და სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების, მათ შორის, მიკროსაფინანსო ქსელების გამოყენება შეღავათების საკითხებზე კომუნიკაციის კუთხით.
- ყველა ქვეყანაში მიმდინარე კვლევებში გენდერული ასპექტის ინტეგრირება იმის დასადგენად, თუ რა გავლენა (მათ შორის, ეკონომიკური კუთხით) იქონია COVID-19-მა ქალებსა და გოგობზე და როგორ უნდა აღმოიფხვრას ეს გავლენა.

განსაკუთრებით მნიშვნელოვანია არაფორმალურად დასაქმებული პირებისა და ქალების საკუთრებაში არსებული ბიზნესების პირდაპირი მხარდაჭერა:

ფინანსური მხარდაჭერის საშიზნე უნდა იყოს ქალების მიერ მართული საწარმოები, რომლებიც მძიმე დარტყმის ქვეშ აღმოჩნდნენ. ასევე, ფემინიზებული სექტორის ბიზნესები, რაც შეიძლება გამოიხატებოდეს სუბსიდირებული და სახელმწიფოს მიერ დაფინანსებული სესხების გამოყოფით, გადასახადების გადავადებით ან გადასახადებისგან გათავისუფლებით. მაგალითად, მთავრობებს შეუძლიათ ხელი შეუწყონ შემოსავლის შემცველ ღონისძიებებს არაფორმალურად დასაქმებული პირებისათვის (როგორც ეს არის ტაილანდში და პერუში), მათ შორის, ისეთ ღონისძიებებს, რომელთა უშუალო სამიზნე ოჯახებში მომუშავე ადამიანები იქნებიან. სურსათის, პირველადი მოხმარების პროდუქციის, სანიტარიული და პერსონალური დამცავი აღჭურვილობების სახელმწიფო შესყიდვებისას სახელმწიფოებმა შეიძლება ითანამშრომლონ ქალთა საწარმოებთან. არაფორმალურ ეკონომიკაში დასაქმებული ქალებისათვის უზრუნველყოფილი უნდა იყოს ნაღდი ფულით დახმარება ან უმუშევრობის კომპენსაცია. განსაკუთრებით მათთვის, ვისაც არ აქვს წვდომა საბანკო სერვისებზე.

კოსტა რიკაში, მთავრობამ კოოპერატივებისა და იმ ბიზნეს პროექტებისთვის, რომელთა სამიზნესაც მოსახლეობის პრიორიტეტული სექტორები წარმოადგენენ (მათ შორის, ახალგაზრდები, ქალები, ხანდაზმული პირები, ძირძველი მოსახლეობა, აფრო წარმომავლობის ან შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, მიგრანტები და გლეხები), საპროცენტო განაკვეთი შეამცირა ყველანაირ კრედიტზე.

რისი გაკეთება შეუძლია გაეროს დახმარების სახით

გაეროს, სახელმწიფოთა ეროვნული პოლიტიკების, მათ შორის COVID-19-ის საპასუხო პროგრამებისა და პოლიტიკების ინფორმირების მიზნით, გენდერული ანალიზისა და სქესის ნიშნის მიხედვით წარმოებული მონაცემების უზრუნველყოფა შეუძლია. გაეროს ასევე შეუძლია ურჩიოს მთავრობებს, რა ღონისძიებები შეიძლება გატარდეს დაბალი ხარჯებით და როგორ უნდა დაიგეგმოს პროგრამები COVID-19-ით გამოწვეული კარანტინისა და იზოლაციის შედეგად დაზარალებულ სექტორებში არაპროპორციულად წარმოდგენილი ქალებისათვის შემოსავლის უზრუნველსაყოფად. ამ გზით, გაერო მთავრობებს შესთავაზებს რჩევებს ქალებისათვის ფულადი დახმარების პირადად მიწოდების ყველაზე ეფექტიანი გზების შესახებ, მათ შორის, ნაღდი ფულით დახმარების პროგრამების გაფართოების, დახმარების დანიშვნის წინაპირობებისა და ასევე იმის თაობაზე, თუ როგორ შეიძლება პროგრამებმა გამოიყენონ მობაილ-ბანკის ბერკეტი იმის უზრუნველსაყოფად, რომ ქალებს ჰქონდეთ პირადი წვდომა და კონტროლი მიღებულ დახმარებაზე. გაეროს შეუძლია ხელი შეუწყოს ისეთი ფისკალური სტიმულირების პროგრამების შემუშავებას, რომლებიც კარგად იქნებიან მორგებული ქალებზე.

II. გავლენა ჯანმრთელობაზე

პანდემიამ შესაძლოა გაართულოს ქალებისა და გოგოების წვდომა მკურნალობასა და ჯანმრთელობის სერვისებზე. ამას ამწვავებს მრავალი სახის უთანასწორობა, მათ შორის, ეთნიკური, სოციალურ-ეკონომიკური, შებენი უმცირესობის სტატუსის, ასაკის, რასის, გეოგრაფიული მდებარეობისა და სექსუალური ორიენტაციის ნიშნით, რაც გავლენას ახდენს კრიტიკული ჯანდაცვის სერვისებზე წვდომასა და გადანაცვლების მიღებაზე, ასევე, ინფორმაციის წვდომაზე COVID-19-ის შესახებ.

ქალებსა და გოგოებს ჯანმრთელობის სპეციფიკური საჭიროებები აქვთ. მათ ნაკლები წვდომა აქვთ ხარისხიანი ჯანდაცვის სერვისებზე, აუცილებელ მედიკამენტებსა თუ ვაქცინებზე, დედებისათვის განკუთვნილ სერვისებსა და რეპროდუქციულ ჯანდაცვაზე, ან გეგმური სამედიცინო მომსახურებისა და უბედური შემთხვევების დაზღვევაზე. სოციალური ნორმები და გენდერული სტერეოტიპები ასევე ზღუდავენ ქალთა წვდომას ჯანდაცვის სერვისებზე. ამ ყველაფრის გავლენა კი განსაკუთრებით საგრძნობია პანდემიის დროს.

ქალები, შესაძლოა, მომეტებული საფრთხის ქვეშ იყვნენ დასაქმების სფეროში გენდერული ნიშნით არსებული განსხვავებების გამო: გლობალურად, ქალები ჯანდაცვის მუშაკთა 70 პროცენტია და ისინი ჯანდაცვის წინა ხაზზე იმყოფებიან, განსაკუთრებით, ექთნები, ბებიაქალები და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუშაკები.¹⁰ ქალები ასევე შეადგენენ სამედიცინო დანებსებულების მომსახურე პერსონალის უმეტესობას - მაგალითად, დამლაგებლები, მრეცხავები, სასადილოების მომსახურე პერსონალი - და, როგორც წესი, დაინფიცირების უფრო მაღალი რისკის წინაშე არიან. ზოგიერთ ადგილებში ქალებს ნაკლებად

აქვთ წვდომა პერსონალურ დამცავ ან სათანადო აღჭურვილობებზე. ამ ციფრების მიუხედავად, ქალები ხშირად არ არიან წარმოდგენილები COVID-19-თან დაკავშირებული ეროვნული და გლობალური გადანაცვლების მიღების პროცესებში.

გავლენა სექსუალურ და რეპროდუქციულ ჯანმრთელობაზე: სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის სერვისების მიწოდება, მათ შორის, დედათა ჯანდაცვა და გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული სერვისები, ქალთა და გოგოების ჯანმრთელობის, უფლებებისა და კეთილდღეობისათვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია. აქედან ყურადღების და კრიტიკული საჭიროებების სხვა მიმართულებით გადატანამ, შესაძლოა, გამოიწვიოს დედათა სიკვდილიანობისა და ავადობის, მოზარდთა ორსულობის, აივ ინფექციისა და სქესობრივი გზით გადამდები დაავადებების ზრდა. ამჟამინდელი გათვლებით, ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის ქვეყნებში, COVID-19 პანდემიის არსებული კონტექსტის გათვალისწინებით, თანამედროვე კონტრაცეპტივებზე რეგულარულ წვდომას დამატებით 18 მილიონი ქალი დაკარგავს.¹¹

როგორ უნდა უპასუხოთ სახელმწიფოებმა COVID-19-ის გავლენას ჯანმრთელობაზე კრიტიკულად მნიშვნელოვანია, რომ COVID-19-თან დაკავშირებული საზოგადოებრივი ჯანდაცვის მზადყოფნისა და რეაგირების გეგმები ითვალისწინებდეს არსებული მდგომარეობის როგორც პირდაპირ, ისე არაპირდაპირ გავლენას ქალებისა და გოგოების ჯანმრთელობაზე. მაგალითად, ჰოლანდიაში ბებიაქალების ჯგუფებმა პანდემიის გამო დახურული სასტუმროები მშობიარე ქალების მისაღებად მოამზადეს.

10 მსოფლიო ჯანდაცვის ორგანიზაცია (2019). „გენდერული თანასწორობა ჯანდაცვის მუშაკებში: 104 ქვეყნის ანალიზი“, <https://apps.who.int/iris/bitstream/handle/10665/311314/WHO-HIS-HWF-Gender-WP1-20191-eng.pdf?ua=1>

11 „კონტრაცეპტივებთან დაკავშირებული ხარჯები ლათინურ ამერიკაში“, გაეროს მოსახლეობის ფონდი, ლათინური ამერიკა და კარიბის ზღვის რეგიონალური ოფისი, 2020 წლის მარტი.

სახელმწიფოებმა უნდა უზრუნველყონ, რომ ქალებსა და გოგოებს ჰქონდეთ წვდომა საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მესიჯებზე COVID-19-თან დაკავშირებით: მათ ხელი უნდა შეუწყონ საზოგადოებრივი ჯანმრთელობის მიზნობრივი მესიჯების შემუშავებასა და გავრცელებას ქალებისა და გოგოების განსხვავებული კონტექსტებისა და პრობლემების გათვალისწინებით. ზოგიერთ ადგილებში განათლებისა და წერა-კითხვის ცოდნის დაბალი დონის გათვალისწინებით, მესიჯები უნდა იყოს ყველასათვის მისაწვდომი, კულტურული კონტექსტის შესაფერისი და გასაგები. COVID-19-ის შესახებ ინფორმაცია უნდა გავრცელდეს კონფლიქტის შედეგად დაზარალებულ რეგიონებშიც, რათა ის მისაწვდომი იყოს ყველა ქალისა და გოგოსთვის, მათ შორის, ლტოლვილი და იძულებით გადაადგილებული პირებისათვის, ასევე, მოშორებულ ადგილებსა და სოფლად მცხოვრები პირებისათვის.

განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ფრონტის ხაზზე მყოფი ჯანდაცვის ქალი მუშაკების როლს: განსაკუთრებული აქცენტი უნდა გაკეთდეს ფრონტის ხაზზე მყოფი ქალი მუშაკების, მათ შორის, ბებიაქალების, ექთნებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუშაკების, აგრეთვე დაწესებულებების დამხმარე პერსონალის ჯანმრთელობისა და ფსიქო-სოციალურ საჭიროებებსა და სამუშაო გარემოზე. მნიშვნელოვანია, რომ პერსონალური დამცავი აღჭურვილობები ქალების შესაბამისი ზომის იყოს, რადგან, როგორც აღმოჩნდა, ქალებს ხშირად უწევთ მამაკაცის ზომაზე დამზადებული ნიღბებისა და დამცავების გამოყენება, რომლებიც ვერ უზრუნველყოფენ მათ ეფექტიან დაცვას. ასევე მნიშვნელოვანია აუცილებელი ჰიგიენური და სანიტარული საშუალებების მიწოდება (მაგალითად, ჰიგიენური საფენები, საპონი, ხელის სანიტაიზერები და ა.შ.), განსაკუთრებით მათთვის, ვინც კარანტინში პრევენციის, კვლევის ან მკურნალობის მიზნებისათვის იმყოფება. ფრონტის ხაზზე მყოფი ქალი მუშაკების და მოხალისეების მომეტებული დაუცველობისა და მათზე ძალადობის შემთხვევების ზრდის გათვალისწინებით, საჭიროა მკაფიო ზომების მიღება ქალების შეურაცხყოფის შემთხვევებისა და გენდერული ძალადობის თავიდან ასაცილებლად და შესამცირებლად. მნიშვნელოვანია, რომ ფრონტის წინა ხაზზე მყოფი ქალების ხმა ისმოდეს ანტიკრიზისული ზომების დაგეგმვის პროცესში.

სახელმწიფოებმა ასევე უნდა უზრუნველყონ სტანდარტული სამედიცინო მომსახურებების, განსაკუთრებით, სექსუალური და რეპროდუქციული ჯანდაცვის სერვისების უწყვეტობა: განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს ხანდაზმული ქალების და გენდერული ძალადობის მსხვერპლი ქალების სამედიცინო მომსახურებებს, აგრეთვე, ანტენატალურ, სამშობიარო და მშობიარობის შემდგომ სერვისებს, მათ შორის, გადაუდებელ სამედიცინო და ახალშობილთათვის განკუთვნილ სერვისებს. საჭიროა ინფექციის კონტროლის აუცილებელი ღონისძიებების უზრუნველყოფა, ასევე აივ-ინფექციის მკურნალობის მიწოდება შეუფერხებლად, განსაკუთრებით, მაგრამ არა მხოლოდ, დედისგან ბავშვზე გადაცემის პრევენციის კუთხით.

რისი გაკეთება შეუძლია გაეროს დახმარების სახით

გაერო ითვალისწინებს პანდემიის გენდერულ განზომილებებს COVID-19-ის საპასუხო ზომებში, რომელთა განხორციელებაც ჯანდაცვის მსოფლიო ორგანიზაციის ხელმძღვანელობით ხდება. გარდა ამისა, გაერო მხარს უჭერს ჯანდაცვის სისტემების გაძლიერებას გენდერული კუთხით, არა მხოლოდ პანდემიასთან საბრძოლველად, არამედ ჯანმრთელობის სხვა სერვისების შეფერხებების თავიდან ასაცილებლად. ეს მოიცავს როგორც პოლიტიკის შესახებ რჩევების შეთავაზებას, ასევე სამედიცინო აღჭურვილობისა და მარაგების, მათ შორის, პერსონალური დამცავი აღჭურვილობების შესყიდვას ჯანდაცვის მუშაკებისათვის. გაერო მხარს უჭერს სუსტი ჯანდაცვის და სოციალური დაცვის სისტემების მქონე ქვეყნებს, მათ შორის, კრიზისულ მდგომარეობაში მყოფ ქვეყნებს და ხელს უწყობს ცნობიერების ამაღლებას, განსაკუთრებით ქალებსა და გოგოებში, მათ შორის, შედარებით მაღალი რისკის ჯგუფებში, როგორც არიან ორსული ქალები, აივ ინფიცირებული პირები და შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირები, იმის შესახებ, თუ როგორ უნდა შეამცირონ COVID-19-ით დაინფიცირების რისკი.¹² ამასთან, გაერო მთავრობებთან და პარტნიორებთან ერთად მუშაობს ქალებისა და გოგოების სექსუალური და რეპროდუქციული ჯანმრთელობის და უფლებების დაცვის მიმართულებით.

12 <https://www.unfpa.org/featured-publication/women-and-young-persons-disabilities>

III. აუნაზღაურებელი შრომა და ზრუნვის ტვირთი

COVID-19-ის გლობალურმა კრიზისმა თვალნათლივ აჩვენა, რომ მსოფლიოს ფორმალური ეკონომიკა და ჩვენი ყოველდღიური ცხოვრება ქალთა და გოგონების უხილავ და უფასო შრომას ეყრდნობა. მზრუნველობითი საქმიანობები საგრძნობლად გაიზარდა COVID-19-ის პირობებში, რაც უკავშირდება ბავშვების სახლში ყოფნას სკოლების დახურვის გამო, ხანდაზმული პირების და ოჯახის ავადმყოფი წევრების მოვლის საქმიანობებს და გადატვირთულ სამედიცინო სერვისებს.

აუნაზღაურებელი ზრუნვის ეკონომიკა COVID-19-თან ბრძოლის მნიშვნელოვანი ნაწილია: უფასო შრომის გენდერული განაწილება მკვეთრად არათანაბარია. სანამ COVID-19 საყოველთაო პანდემია გახდებოდა, ქალები სამჯერ უფრო მეტ უფასო მზრუნველობით და ოჯახის სამუშაოს ასრულებდნენ, ვიდრე კაცები. ეს უხილავი ეკონომიკა რეალურ გავლენას ახდენს ფორმალურ ეკონომიკასა და ქალთა ცხოვრებაზე. ლათინურ ამერიკაში უფასო შრომის ღირებულება შეადგენს მშპ-ს 15,2 პროცენტიდან (ეკვადორი) 25,3 პროცენტამდე (კოსტა რიკა).¹³

პანდემიის პირობებში მზრუნველობითი შრომის გაზრდილი საქმიანობა არსებულ გენდერულ უთანასწორობას კიდევ უფრო აღრმავებს. ზრუნვის ეკონომიკის ნაკლებად ხილული სუბიექტები განსაკუთრებულად ზარალდებიან, თუმცა დახმარების ღონისძიებებში მათ ნაკლებად ითვისებენ.

ჯანდაცვა: COVID-19-თან ბრძოლის პირობებში საავადმყოფოებისა და ჯანდაცვის ცენტრების გადატვირთულობის გამო ჯანდაცვის ტვირთი ოჯახებსა და საზოგადოებებს დააწვა. ზოგჯერ COVID-19-ით დაინფიცირებულ პაციენტებს ადრე წერენ

საავადმყოფოდან სხვებისთვის ადგილების გასათავისუფლებლად, და ისინი სახლში მოვლასა და დახმარებას საქმიანობენ. იმ სამედიცინო და სოციალურმა სერვისებმა, რომლებიც არ უკავშირდება COVID-19-ს, შესაძლოა უკანა პლანზე გადაინიოს, რაც იმას ნიშნავს, რომ ოჯახებს მოუწევთ უფრო მეტი დახმარების გაწევა იმ წევრებისთვის, რომლებსაც აწუხებთ სხვადასხვა, მათ შორის, ქრონიკული დაავადებები. ქალები COVID-19-თან ბრძოლის წინა ხაზზე იმყოფებიან, როგორც უფასო მომვლელი ოჯახებში ან საზოგადოებრივი ჯანდაცვის სფეროს წარმომადგენელთა უმეტესობა დაბალანაზღაურებად ან არაანაზღაურებად პოზიციებზე.

სკოლების დახურვა ასევე ტვირთად დააწვა ქალებსა და გოგონებს: იუნესკოს მონაცემებით, სკოლების დახურვის შედეგად, ამჟამად სახლში იმყოფება 1.52 მილიარდი სტუდენტი (87 პროცენტი) და 60 მილიონზე მეტი პედაგოგი. ბავშვთა მოვლის ფორმალური და არაფორმალური სერვისების შემცირებამ გაზარდა ქალების უფასო შრომა. ყოველივე ეს ზღუდავს ქალების მუშაობის შესაძლებლობებს, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც სამუშაოს დისტანციურად შესრულება შეუძლებელია. ბავშვთა მოვლის კუთხით მხარდაჭერის ნაკლებობა განსაკუთრებით პრობლემურია იმ პირებისათვის, რომლებიც დასაქმებული არიან კრიტიკული მნიშვნელობის დაწესებულებებში და თან ბავშვის მოვლის ვალდებულებები აკისრიათ. ფაქტები ცხადყოფს, რომ აშშ-ში ქალები არა მხოლოდ საავადმყოფოების პერსონალის 78 პროცენტია, არამედ აფთიაქების პერსონალის 70 პროცენტი და სასურსათო მაღაზიებში დასაქმებული პირების 51 პროცენტი.¹⁴

13 ლათინური ამერიკისა და კარიბის ზღვის ეკონომიკური კომისია (2019), მონაცემები დროის გამოყენების შესახებ ლათინურ ამერიკასა და კარიბის ზღვის ქვეყნებში, ხელმისაწვდომია: https://oig.cepal.org/sites/default/files/2019-10_repositorio_uso_del_tiempo_eng.pdf
14 აშშ-ის შრომის სტატისტიკის ბიურო, დასაქმების ამჟამინდელი სტატისტიკა, დასაქმებისა და შემოსავლის ცხრილი B-5b, ხელმისაწვდომია: <https://www.bls.gov/web/empsit/ceseeb5b.htm> (2020 წლის თებერვალი).

COVID-19-ის პირობებში ასევე მნიშვნელოვანი საჭიროებაა ხანდაზმულ პირებზე ზრუნვა: სხვადასხვა ქვეყნებში ასაკოვანი ადამიანების უმეტესობა ქალები არიან. გლობალურად, ქალები 70 წლის ასაკის პირთა 57 პროცენტს, ხოლო 80 წელზე უფროსი ასაკის პირთა 62 პროცენტს წარმოადგენენ.¹⁵ ასაკოვან ქალებში უფრო ხშირია დაბალი შემოსავალი, მათი პენსიებიც უფრო დაბალია, ისევე როგორც თავის მოვლის საშუალებებზე წვდომა. მდებარეობითი თუ მამრობითი ხანდაზმული ადამიანების მოვლა, როგორც წესი, ნებისმიერი ასაკის ქალებს უწევთ და ამაში ისინი ანაზღაურებას არ იღებენ. ამ ზრუნვის უწყვეტობა კი დამოკიდებულია მათ ჯანმრთელობასა და კეთილდღეობაზე, ასევე მათ შესაძლებლობებზე, რომ მინიმუმამდე დაიყვანონ მათი მზრუნველობის ქვეშ მყოფი პირების დაინფიცირების რისკები.

COVID-19-ით გამონვეული გაზრდილი მოთხოვნა მზრუნველობით სამუშაოზე ტვირთად აწევს გოგობსაც, მათ შორის, მოზარდებს: ბოლო მონაცემებით, მოზარდი გოგოები გაცილებით მეტ დროს ხარჯავენ სახლის საქმეებში, ვიდრე მათი თანატოლი ბიჭები.¹⁶ სკოლების დახურვა არ ნიშნავს მხოლოდ იმას, რომ გოგოებს უფრო მეტი საქმის გაკეთება უწევთ სახლში. სკოლების დახურვამ, შესაძლოა, ასევე გამოიწვიოს მილიონობით გოგოს მიერ სკოლის მითოვება საბაზისო საფეხურის დასრულებამდე. განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როცა გოგოები ცხოვრობენ სიღარიბეში, აქვთ შეზღუდული შესაძლებლობები ან ცხოვრობენ სოფლად. ჯერ კიდევ პანდემიის დაწყებამდე, მილიონობით გოგოს არ ჰქონდა ელემენტარული წერა-კითხვისა და საშუალო დონის უნარ-ჩვევებისა და ცოდნის მიღების პერსპექტივა, რაც აუცილებელია მათი სრულყოფილი განვითარებისთვის. წარსულმა ეპიდემიებმა გვიჩვენა, რომ მოზარდი გოგოები, ხშირად, არც კრიზისის დასრულების შემდეგ ბრუნდებიან სკოლებში.

რა ზომების გათვალისწინებაა საჭირო გენდერულად ინკლუზიურ ანტიკრიზისულ გეგმებში

ქალთა უფასო შრომა დიდი ხანია აღიარებულია, როგორც უთანასწორობის ერთერთი მიზეზი. ის უშუალოდ არის დაკავშირებული სახელფასო უთანასწორობასთან, დაბალ შემოსავალთან, ცუდ განათლებასა და ფიზიკური და მენტალური ჯანმრთელობის სტრესთან. ქალთა უფასო და უხილავი შრომა საგრძნობლად გაიზარდა COVID-19-ის პანდემიის პირობებში. მაგრამ პანდემიამ ისიც მკაფიოდ დაგვანახა, რომ ოჯახების, თემებისა და ფორმალური ეკონომიკის ყოველდღიური ფუნქციონირება ამ უხილავ შრომაზე დამოკიდებული. ეკონომიკის აღდგენის და მეტად ინკლუზიური გარემოს ჩამოყალიბების პროცესში, გვაქვს შანსი, ვიყოთ ტრანსფორმაციული და კიდევ ერთხელ ვაღიაროთ, შევამციროთ და გადავანაწილოთ მოვლასთან დაკავშირებული არაანაზღაურებადი შრომა.

მიუხედავად იმისა, რომ ქალები COVID-19-ის წინააღმდეგ ბრძოლაში აქტიურად არიან ჩართული, მათ მიერ განეული უფასო შრომა უსასრულო არ არის.¹⁷ საჭიროა დაუყოვნებელი მოქმედება და უწყვეტი მზრუნველობითი მომსახურების უზრუნველყოფა იმ პირებისათვის, ვისაც ამგვარი საჭიროება აქვს. აგრეთვე, საჭიროა დაუყოვნებლივი ნაბიჯების გადადგმა იმისათვის, რათა COVID-19-მა არ გაანადგუროს გენდერული თანასწორობის მიმართულებით ბოლო ათწლეულების განმავლობაში მიღწეული პროგრესი, განსაკუთრებით, ქალთა შრომის ბაზარზე მონაწილეობის მიმართულებით. მაგალითად, 2008 წლის გლობალური ფინანსური კრიზისის შემდეგ, მხარდაჭერის ღონისძიებები ძირითადად ინფრასტრუქტურული პროექტებისკენ იყო მიმართული, სადაც დასაქმებულთა უმრავლესობას მამაკაცები წარმოადგენენ, მაშინ როცა შემცირებები ძირითადად განათლების, მზრუნველობითი და

15 გაერო, ეკონომიკური და სოციალური საკითხების დეპარტამენტი, მოსახლეობის განყოფილება (2019). „მსოფლიო მოსახლეობის პერსპექტივები 2019“, ონლაინ გამოცემა, <https://population.un.org/wpp/>

16 გაეროს ბავშვთა ფონდი, საერთაშორისო გემის ორგანიზაცია, გაეროს ქალთა ორგანიზაცია (2020). „ახალი ერა გოგობისთვის: 25 წლიანი პროგრესის შეფასება“: <https://www.unicef.org/media / 65586 / file / A-new-era-for-girls-2020.pdf>

17 ელსონი.

საზოგადოებრივი მომსახურებების სფეროებს შეეხო, სადაც დასაქმებულთა უმეტესობა ქალები არიან.

COVID-19-ის საპასუხოდ მიღებულმა მხარდამჭერმა ზომებმა უნდა მოიცვას როგორც ფორმალურ სამუშაო ადგილებზე დასაქმებული ადამიანები, ისე არაფორმალურ სექტორში, ან სეზონურად დასაქმებული ადამიანები და არასრული სამუშაო გრაფიკის მქონე პირები, რომელთა უმეტესობაც ქალია. ეს განსაკუთრებით აუცილებელია იმ სფეროებში, სადაც ქალები დომინირებენ, როგორცაა სასტუმროების, კვებისა და ტურიზმის სფეროები, რომლებიც ამჟამად შეჩერებულია მთავრობების მიერ დაწესებული შეზღუდვების გამო. ზოგიერთი ქვეყანა უკვე იღებს ზომებს ამ მიმართულებით. მაგალითად, იტალია განიხილავს მხარდამჭერი ზომების დაწესებას არაფორმალური და დროებითი სამუშაოს მქონე პირებისათვის, მათი შრომითი ურთიერთობების შეწყვეტის შემთხვევაში. ასევე, ფინანსური დახმარებები და მხარდამჭერი ზომები მიმართული უნდა იყოს არამხოლოდ დიდი და საშუალო საწარმოებისკენ, არამედ მიკრო და მცირე ბიზნესისკენაც, სადაც უმეტეს წილად ქალი მენარმეები არიან წარმოდგენილი. გარდა ამისა, კერძო სექტორის ფინანსური მხარდაჭერა და კრედიტზე წვდომა თანაბრად მისაწვდომი უნდა იყოს ქალებისა და კაცებისთვის.

ზემოხსენებული შედეგების გარდა, კრიზისს ასევე შეიძლება ჰქონდეს გარკვეული გვერდითი გავლენა სოციალურ ნორმებზე, რამაც შესაძლოა ხელი შეუწყოს თანასწორობას. დღესდღეობით, მთელი მსოფლიოს მასშტაბით, მრავალი კომპანიის მიერ მოქნილ სამუშაო რეჟიმზე გადასვლა ცხადყოფს, რომ მუშაობის ეს მოდელი, რომელიც საშუალებას იძლევა უფრო კარგად დაბალანსდეს სამუშაო და მზრუნველობითი პასუხისმგებლობები, რეალური და შესაძლებელია. იმ პირობებში, როცა კრიტიკული მნიშვნელობის სამსახურის გამო, ბევრ ქალს უწევს სახლის გარეთ მუშაობა, ხოლო ზოგიერთ ოჯახში ორივე მშობელი სახლშია, მამები უფრო მეტად იღებენ ან ინაწილებენ ბავშვზე ზრუნვის პასუხისმგებლობას, რამაც შესაძლოა გავლენა იქონიოს შრომის და გენდერული როლების გადანაწილებაზე კრიზისის შემდგომ პერიოდში.¹⁸ მნიშვნელოვანია, ამ ძვრების მიზანმიმართულად გამოყენება და გამყარება.

რეკომენდებულია, რომ სახელმწიფოთა მიერ მიღებული ზომები ითვალისწინებდეს შემდეგს:

- ხანდაზმულ პირებზე, შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირებსა და COVID-19-ისგან გამოჯანმრთელებულ პირებზე ზრუნვის უწყვეტობის უზრუნველყოფა.
- ოჯახის უფასო მომვლელების გათავისუფლება იზოლაციის შეზღუდვებისგან, მათი მხარდაჭერა და მათთვის სამუშაოს უსაფრთხოდ შესასრულებლად საჭირო აღჭურვილობის უზრუნველყოფა.
- უფასო მომვლელებისა და საზოგადოებრივი ჯანდაცვის მუშაკების მომზადება ინფორმაციის მინოდებით, ტრენინგებითა და სათანადო აღჭურვილობის მინოდებით; ასევე საჭიროა ამ პირების მხარდაჭერა საარსებო საჭიროებების დაკმაყოფილების კუთხით.
- მომვლელებისათვის ინკლუზიური სოციალური დაცვის უზრუნველყოფა და გაფართოება, მოჭარბებული არაანაზღაურებადი მზრუნველობითი სამუშაოს შედეგების შესამცირებლად. ამისათვის საჭიროა:
- ოჯახური მიზეზების გამო ანაზღაურებადი შვებულებით და ავადმყოფობის ფურცლით სარგებლობაზე წვდომის გაფართოება.
- სამუშაოს განაკვეთის ანაზღაურებადი შემცირება ან განაწილება იმ თანამშრომელთათვის, ვისაც მზრუნველობითი პასუხისმგებლობები გააჩნია.
- იმ სოციალური პროგრამებით გათვალისწინებული დახმარების დონისა და არეალის გაფართოება, რომლებიც არაპროპორციულად ითვალისწინებენ ქალთა საჭიროებებს; როგორცაა ნაღდი ფულით დახმარება და სოციალური პენსიები, ასევე, დახმარების დანიშვნის ყველა წინაპირობის შეჩერება COVID-19-ის კრიზისის დამთავრებამდე.
- ნაღდი ფულით დახმარების ახალი პროგრამების ამოქმედება, მათ შორის, მზრუნველობითი პასუხისმგებლობის მქონე ქალებისთვის.
- ბავშვის მოვლის სერვისის დასაქირავებლად დამატებითი ბონუსების, სუბსიდიებისა და ვაუჩერების უზრუნველყოფა იმ დასაქმებულთათვის, რომელთაც არ შეუძლიათ დისტანციურად მუშაობა. აღნიშნული უნდა გავრცელდეს არაფორმალურად დასაქმებულ პირებზეც.

18 „COVID-19-ის გავლენა გენდერულ თანასწორობაზე“: http://faculty.wcas.northwestern.edu/~mdo738/research/COVID19_Gender_March_2020.pdf

- > აუცილებელი ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი სერვისების მისაწვდომობის და ამ მიმართულებით ინვესტიციების ხელშეწყობა. მათ შორის, სოფლებში, არაფორმალურ დასახლებებსა და დევნილთა და ლტოლვილთა ბანაკებში. ამისათვის საჭიროა:
- > ბავშვთა მოვლის კუთხით მხარდაჭერის გაფართოება იქ, სადაც სკოლები და ბავშვთა მოვლის სერვისები დახურულია. განსაკუთრებული ყურადღება უნდა გამახვილდეს კრიტიკული მნიშვნელობის მქონე მუშაკების უსაფრთხო სერვისებზე წვდომაზე.
- > სკოლის კვების პროგრამების გაგრძელება და მათი ადაპტირება კრიზისის კონტექსტში, კერძოდ, მათი მომზადება/განაწილება წასაღებად და დასარიგებლად.
- > ქალთა მონყვლადი ჯგუფებისთვის საკმარისი და ხელმისაწვდომი წყლის, სანიტარიული და ჰიგიენის სერვისების უზრუნველყოფა, მათ შორის, არაფორმალურ დასახლებებში, სოფლებსა და ლტოლვილთა ბანაკებში.
- > ინფრასტრუქტურისა და საზოგადოებრივი სერვისებისათვის საქონლისა და მომსახურებების შესყიდვა ქალი მწარმოებლებისგან.

რისი გაკეთება შეუძლია გაეროს დახმარების სახით?

უფასო შრომასთან დაკავშირებით გაეროს სტრატეგია ითვალისწინებს არა მხოლოდ ამგვარი შრომის ხილულობის გაზრდას, არამედ ზომების მიღებას მზრუნველობითი შრომის ტვირთის შესამცირებლად და მის უკეთ გადასანაწილებლად ქალებსა და მამაკაცებს შორის, ასევე ოჯახებსა და საზოგადოებრივ/საბაზროსერვისებს შორის. გაერო ადვოკატირებს წვდომას წყალზე, სანიტარიულ და ჰიგიენურ სერვისებზე, ასევე სოფლებისა და შორეული რეგიონების ელექტროენერჯით მომარაგების უზრუნველყოფას, ქალებისათვის აუნაზღაურებელი შრომისა და სახლის საქმეების გასაიოლებლად, რაც კრიზისის დროს განსაკუთრებული ტვირთია მათთვის. ასევე, სახელმწიფო ხარჯების პრიორიტეტების შეცვლას, სოციალური მზრუნველობითი ინფრასტრუქტურის მიმართულებით.

IV. გენდერული ძალადობა

5 აპრილს, გენერალურმა მდივანმა მსოფლიოს მოუწოდა შეენწყვიტა ძალადობა და კონფლიქტები, რათა მთელი ყურადღება და რესურსები პანდემიის წინააღმდეგ მიმართულიყო. თუმცა ძალადობა მხოლოდ სახელმწიფოებს შორის არ ხდება; ძალადობის შემთხვევებს ადგილი აქვს ოჯახებშიც. ქალთა მიმართ ძალადობა გლობალურად იზრდება, რადგან პანდემია ასევე მოიცავს კონტაქტისა და გადაადგილების შეზღუდვის ზომებსაც. ხალხმრავალი სახლები, სხვადასხვა ნივთიერებების მოხმარება, სერვისებზე შეზღუდული წვდომა და მხარდაჭერის შემცირება ამ პირობებს ამძაფრებს. კვლევების მიხედვით, პანდემიის დაწყებამდე, სამი ქალიდან ერთი განიცდიდა ძალადობას. ახლა ამ ქალთა უმეტესობა საკუთარ მოძალადებთან ერთად სახლებშია გამოკეტილი.

მიუხედავად იმისა, რომ ჯერ ადრეა დასკვნების გამოტანა, მთელ მსოფლიოში ქალთა მიმართ ძალადობის გაზრდის შესახებ ცნობები საკმაოდ შემაშფოთებელია. ზოგიერთ ქვეყანაში, სადაც ძალადობის შეტყობინების სისტემები არსებობს, 25%-იანი ზრდა გამოვლინდა, ზოგ ქვეყანაში კი, ძალადობის შემთხვევები გაორმაგდა.

ეს ციფრები სავარაუდოდ მხოლოდ ძალადობის უკიდურეს შემთხვევებს ასახავს, რადგან პირადი სივრცის გარეშე დარჩენილ ბევრ ქალს დარეკვა ან ონლაინ კონსულტაციის მიღება უჭირს.¹⁹

ციფრების მატებასთან ერთად, ქალთა მიმართ ძალადობა ახალ სირთულეებს იძენს: ადგილი აქვს COVID-19-ით დაინფიცირების რისკების ბოროტად გამოყენებას; მოძალადეები იყენებენ ქალების დახმარების თხოვნის ან გაქცევის შეზღუდულ შესაძლებლობას; ქალები სახლიდან გაგდების და ქუჩაში აღმოჩენის რისკის წინაშე დგანან. ამავე დროს, პრობლემებია დამხმარე სერვისებზე

წვდომის მხრივაც. შეიცვალა სასამართლო, საპოლიციო თუ ჯანდაცვის სამსახურების პრიორიტეტები, რომლებიც, როგორც წესი, პირველები რეაგირებდნენ ქალების მიმართ ძალადობაზე ან გადატვირთულობის და სხვა მიზეზების გამო ვერ ახერხებენ დახმარებას. სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციებსაც მოუწიათ რესურსების გადანაწილება, რადგან გადაადგილებაზე დაწესებული აკრძალვების გამო, შეზღუდულები არიან. ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების ნაწილი გადავსებულია, ნაწილი კი დაიკეტა ან სამედიცინო დაწესებულებად გადაკეთდა.

მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოებისათვის პრიორიტეტი იყოს ქალთა მხარდაჭერა უკვე გამოცდილი და ეფექტიანი ზომების გატარებით, მათ შორის:

- ალთა მიმართ ძალადობის პრევენციის ზომებისა და სერვისების ინტეგრირება COVID-19-თან ბრძოლის გეგმებში;
- ოჯახში ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების გამოცხადება აუცილებელ სერვისებად და მათთვის და წინა ხაზზე მყოფი სამოქალაქო საზოგადოების ჯგუფებისათვის რესურსების გაზრდა;
- ძალადობის მსხვერპლთა თავშესაფრების შესაძლებლობების გაძლიერება სხვა ადგილების, როგორცაა ცარიელი სასტუმროები და საგანმანათლებლო დაწესებულებები - საკარანტინე სივრცეებად გადაკეთებით და მათზე წვდომის გაფართოების გზით;
- ქალებისთვის უსაფრთხო ადგილების გამოყოფა, სადაც მათ შეეძლებათ ძალადობის შესახებ განაცხადონ ისე, რომ მოძალადემ ამის შესახებ ვერ შეიტყოს. მაგალითად, სასურსათო მაღაზიებში ან აფთიაქებში;
- სერვისების ონლაინ რეჟიმზე გადაყვანა;

¹⁹ რადგან ადამიანები უფრო მეტ დროს ატარებენ ონლაინ რეჟიმში, არსებობს ციფრულ სივრცეში გენდერული ნიშნით ძალადობის გაზრდის რისკები.

- ადვოკატირებისა და ცნობიერების ამაღლების კამპანიების გაძლიერება, რომელთა სამიზნეც, მათ შორის, იქნებიან სახლში მყოფი კაცები;
- მნიშვნელოვანია, რომ სახელმწიფოების საპასუხო ზომები ითვალისწინებდეს საზოგადოებასთან კონკრეტულ კომუნიკაციას, ინფორმაციის გასავრცელებლად იმის შესახებ, რომ მართლმსაჯულება და კანონის უზენაესობა არის მისაწვდომი იზოლაციის დროს. გენდერული ძალადობის პრევენციის სტრატეგიების ინტეგრირება უნდა მოხდეს მართლმსაჯულებისა და უსაფრთხოების სექტორების საოპერაციო და ანტიკრიზისულ გეგმებში, ხოლო დანაშაულის, განსაკუთრებით, სექსუალური ძალადობის დანაშაულის ხანდაზმულობის ვადის შეზღუდვა დროებით უნდა შეჩერდეს.

რისი გავრცელება შეუძლია გაეროს დახმარების სახით

გაერო ხელს შეუწყობს ზემოხსენებული ზომების ინტეგრაციას სახელმწიფოთა ანტიკრიზისულ გეგმებში, მათ შორის, კრიზისული სიტუაციებისა და ჰუმანიტარული პრობლემების მქონე ადგილებში. გაეროს ადგილობრივი წარმომადგენლობები სხვადასხვა ქვეყანაში რეკომენდაციით მიმართავენ სახელმწიფოებს, რომ პანდემიაზე სწრაფი რეაგირებისა და გრძელვადიანი ანტიკრიზისული პაკეტების აუცილებელი ნაწილი იყოს ქალების ძალადობისაგან დაცვის ზომები. გაერო გამოიყენებს ევროკავშირთან ერთობლივ ინიციატივას - Spotlight Initiative, რომელიც მსოფლიოს უდიდესი ინვესტიციაა ქალებისა და გოგონების მიმართ ძალადობის აღმოფხვრაში, რათა მთავრობებთან ერთად გააფართოოს ძალისხმევა პანდემიით გამოწვეული ახალი გამოწვევების საპასუხოდ. გაერო ასევე გამოიყენებს თავის უკვე მოქმედ პროგრამებს ქალთა მიმართ ძალადობაზე რეაგირებისთვის და მის აღმოსაფხვრელად.

ავსტრალიის ახალ სამხრეთ უელსში ჩატარებულ კვლევაში ფრონტის ხაზზე მყოფ მუშაკთა 40-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ გაიზარდა დაზარალებულთა მიერ დახმარების თხოვნის მაჩვენებელი, ხოლო 70-მა პროცენტმა აღნიშნა, რომ პანდემიის პერიოდში გაიზარდა გამოვლენილი შემთხვევების სიმძიმე.²⁰

კანადის მთავრობის ანტიკრიზისული პაკეტი, სექსუალური და გენდერული ძალადობის სხვა ფორმების მსხვერპლი ქალების თავშესაფრების დასახმარებლად, 50 მილიონი კანადური დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს. ავსტრალიის რეაგირების გეგმა კი, ოჯახში ძალადობაზე რეაგირებისთვის 150 მილიონი ავსტრალიური დოლარის გამოყოფას ითვალისწინებს. მექსიკაში განიხილება კანონი, რომლის მიხედვითაც, 405 მილიონი მექსიკური პესო გადაეირიცხება თავშესაფრების ეროვნულ ქსელს.²¹ ოჯახში ძალადობის თავშესაფრები აუცილებელ სერვისებად მიიჩნევა და უნდა დარჩეს ღია იზოლაციის დროსაც.

ინოვაციური ვირტუალური გადანაცვები-ლებები:

ჩინეთში დაიწყო კამპანია ჰეშტეგით **#AntiDomesticViolenceDuringEpidemic** (ოჯახში ძალადობის წინააღმდეგ ეპიდემიის დროს), რომელიც ონლაინ რესურსების საშუალებით ხელს უწყობს მსხვერპლ ქალებს დაარღვიონ დუმილი და გამოავლინონ ძალადობის ფაქტები, როგორც რისკები იზოლაციის პირობებში. ონლაინ და მობილური სერვისების მიმწოდებლები ასევე იღებენ ზომებს მსხვერპლი ქალების დასახმარებლად. მაგალითად, ასეთია უფასო ცხელი ხაზი **ანტიგუსა და ბარბუდაში**. **ესპანეთში**, გეოლოკაციის ფუნქციით აღჭურვილი სწრაფი შეტყობინების სერვისი ქალებს სთავაზობს ონლაინ სასაუბრო ოთახს, რომელიც დაუყოვნებლივ უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურ დახმარებას ძალადობის მსხვერპლი ქალებისათვის. **არგენტინაში**, აფთიაქები გამოცხადდა უსაფრთხო ადგილებად, სადაც ქალებს შეუძლიათ განაცხადონ ძალადობის შესახებ. ანალოგიურად, **საფრანგეთში**, სასურსათო მაღაზიებში განთავსებულია დროებითი სერვისები, ხოლო ძალადობის მსხვერპლი ქალებისთვის, რომლებიც თავშესაფარს საჭიროებენ, ფინანსდება ღამის გათენება სასტუმროებში. **კოლუმბიის** მთავრობამ უზრუნველყო გენდერულ ძალადობასთან დაკავშირებული სერვისების ვირტუალურ რეჟიმში უწყვეტობა, მათ შორის, იურიდიული კონსულტაციები, ფსიქოსოციალური კონსულტაციები, საპოლიციო და სასამართლო სერვისები (სასამართლო მოსმენების ჩათვლით).

20 „კორონავირუსის დროს გამოკეტულ ოჯახებში ძალადობის ზრდა“, <https://10daily.com.au/news/australia/a200326zyjkh/> domestic-violence-spikes-during-coronavirus-as-families-trapped-at-home-20200327, ბოლოს ნანახია 2020 წლის 2 აპრილს.
 21 ხელმისაწვდომია: [//comunicacionnoticias.diputados.gob.mx/comunicacion/index.php/mesa/diputadas-piden-que-las-medidas-tomadas-por-el-gobierno-de-la-republica-durante-la-contingencia-por-el-covid-19-tengan-perspectiva-de-genero](http://comunicacionnoticias.diputados.gob.mx/comunicacion/index.php/mesa/diputadas-piden-que-las-medidas-tomadas-por-el-gobierno-de-la-republica-durante-la-contingencia-por-el-covid-19-tengan-perspectiva-de-genero)

V. პანდემიის გავლენა ჰუმანიტარული პრობლემების მეორე ადგილებსა და ადამიანის უფლებებზე

COVID-19-ით გამოწვეული პანდემია დამანგრეველ რისკებს უქმნის ქალებს და გოგონებს მონყვლად და კონფლიქტურ ადგილებში. კრიტიკული ჯანმრთელობის, ჰუმანიტარული პროგრამების შეფერხებამ შეიძლება ფატალური შედეგები გამოიწვიოს ისეთ ადგილებში, სადაც ჯანმრთელობასთან დაკავშირებული სისტემები უკვე გადატვირთული იყო, ან მეტწილად, არ არსებობდა. მონყვლად ადგილებში დედათა სიკვდილიანობის 50 პროცენტზე მეტი გამოწვეულია ორსულობისა და მშობიარობის გართულებებით, არსებული მდგომარეობა კი, სავარაუდოდ, კიდევ უფრო დაამძიმებს ამ ციფრებს. კონფლიქტურ ადგილებში, ქალები, რომლებიც მარგინალიზებულნი არიან დევნილობის, ლტოლვილობის, სოფელში ცხოვრების, სიღარიბისა თუ სხვა მიზეზების გამო იზოლაციაში იმყოფებიან, მიეწოდებათ არასწორი ინფორმაცია და არ აქვთ წვდომა ტექნოლოგიებზე.

პოლიციისა და უსაფრთხოების ძალების გადაადგილების შეზღუდვამ, შესაძლოა, კანონის უზენაესობის კუთხით ვაკუუმი შექმნას და გაზარდოს სექსუალური და გენდერული ძალადობის შემთხვევები და ქალი უფლებადამცველების განზრახ მკვლელობები. მუშაობის ონლაინ რეჟიმზე გადასვლა ასევე უქმნის საფრთხეს ქალთა სამოქალაქო საზოგადოების ორგანიზაციების საქმიანობას ქალთა უფლებების დასაცავად.

მნიშვნელოვანია, რომ ამ პერიოდის განმავლობაში პრიორიტეტად დარჩეს ქალების, მშვიდობისა და უსაფრთხოების დღის წესრიგის ეფექტიანი განხორციელება. უშიშროების საბჭოს რეზოლუცია 2242 (2015), ფაქტობრივად, საბჭოს პირველი რეზოლუცია იყო, რომელმაც ჯანმრთელობასთან

დაკავშირებული პანდემიები მშვიდობისა და უსაფრთხოების ნაწილად აღიარა და საგანგებოდ მიუთითა, რომ პრევენციის, დაცვისა და ქალთა თანაბარი მონაწილეობისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესში თანაბარი მონაწილეობის პრინციპები ყველა საპასუხო გეგმის აუცილებელი შემადგენელი ნაწილი უნდა იყოს.

და ბოლოს, გლობალურმა პანდემიამ ადამიანების გადაადგილების თავისუფლება მთელი მსოფლიოს მასშტაბით მნიშვნელოვნად შეზღუდა. ვრცელდება შემაშფოთებელი ცნობები საგანგებო ზომების ბოროტად გამოყენების შესახებ ადამიანის უფლებებისა და კანონის უზენაესობის კიდევ უფრო დასაზიანებლად, რაც დეტალურად აღინება გაეროს მომდევნო პოლიტიკის კვლევის დოკუმენტში, რომელიც შეეხება COVID-19-ის გავლენას ადამიანის უფლებებზე. ზემოაღნიშნულმა უარყოფითი ზეგავლენა იქონია სამოქალაქო სივრცეებზე და საზოგადოებისა და ცალკეული პირების მიერ მშვიდობიანი შეკრებისა და გამოსატვის თავისუფლების უფლების რეალიზებაზე. ქალი ლიდერები და აქტივისტები კვლავ განიცდიან შევიწროებასა და თავდასხმებს როგორც ვირტუალურ სივრცეში, ისე რეალურ ცხოვრებაში. გრძელვადიანი გლობალური რეცესიის პერსპექტივები სერიოზულ შეშფოთებას იწვევს იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა აღმოიფხვრას უფლებების დაცვის ეს ხარვეზები. პანდემიის შემდგომი ადგილითი პროცესები, იმედია, შედეგად მოიტანს ქალთა უფლებების გაფართოებას და საზოგადოებრივ საქმეებში ქალთა მონაწილეობის გაზრდას იმგვარად, რომ ჩვენ უფრო მომზადებული შევხვდეთ მომავალში მსგავს კრიზისებს.

დასკვნა

პანდემია აძლიერებს და აღრმავებს ყველა არსებულ უთანასწორობას. ეს უთანასწორობები, თავის მხრივ, არის იმის განმსაზღვრელი, თუ ვინ ან რამდენად დაზარალდება, და როგორი იქნება ზიანის აღმოფხვრისაკენ მიმართული ძალისხმევა. COVID-19-ით გამონვეულმა პანდემიამ და მისმა სოციალურმა და ეკონომიკურმა გავლენებმა შექმნა უპრეცედენტო გლობალური კრიზისი გაეროს მუშაობის ისტორიაში და ის მოითხოვს მთლიანი საზოგადოების პასუხს, მისი სირთულიდან და მასშტაბებიდან გამომდინარე. თუმცა ეს პასუხები, ეროვნულ თუ საერთაშორისო დონეზე, მნიშვნელოვნად დასუსტდება, თუ არ გავიზრდებით იმას, რამდენად უფრო დაუცველები ვართ კრიზისის უარყოფითი შედეგებისაგან სწორედ უთანასწორობების გამო ან თუ უბრალოდ გავიმეორებთ წარსულ პოლიტიკას და არ გამოვიყენებთ ამ მომენტს უფრო თანაბარი, ინკლუზიური და გამძლე საზოგადოებების ასაშენებლად.

COVID-19-ის საპასუხო გეგმებსა და პაკეტებში, ასევე რესურსების განაწილების დროს, გათვალისწინებული უნდა იყოს პანდემიის გენდერული გავლენები. ეს ნიშნავს შემდეგს: (1) ქალთა და ქალთა ორგანიზაციების ჩართვა COVID-19-ის საპასუხო ზომების დაგეგმვისა და განხორციელების პროცესში; (2) უფასო მზუნველობითი შრომის უთანასწორობების გარდაქმნა ახალ, ინკლუზიურ მზრუნველობით ეკონომიკად, რომელიც განკუთვნილი იქნება ყველასთვის; და (3) სოციალურ-ეკონომიკური გეგმების შედგენა ქალთა და გოგონათა ცხოვრებასა და მათ მომავალზე ფოკუსირებით.

ქალებისა და გოგონების ეკონომიკის ცენტრად ქცევა ძირეულად გააუმჯობესებს და გააძლიერებს მდგრადი განვითარების შედეგებს ყველასთვის, დააჩქარებს აღდგენით პროცესებს და კვლავ დაგვაყენებს მდგრადი განვითარების მიზნების მიღწევის გზაზე.

